ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 ოქტომბერი 2002 №202 (1724) ფასი 50 თეთრი

# მიქელანჯელო მილანური რენესანსი




REUTERS მილანიდან

ფილიპო ინძაგი თავისი 8 გოლით პირველ ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეებს მართლაც ღვთის რისხვად ექცათ

CHAMPIONS LEAGUE

## მილანი 2:1 ბაიერნი

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის პირველ დღეს მომდევნო ეტაპზე გაღწევა ვერავინ მოახერხა და მხოლოდ ის გაირკვა, რომ „სპარტაკი" ჯგუფში ჩარჩა. თუმცა ასეც რომ მოხდებოდა, იქამდეც ვიცოდით.

გუშინ კი, ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, ლიგაში დარჩენა ერთბაშად სამმა გუნდმა გაინაღდა: „მანჩესტერ იუნაიტედმა", „მილანმა" და „ბარსელონამ" ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვეს.

იოლად არ მოუგიათ: „მანჩესტერი" ორი ბურთით უგებდა „ოლიმპიაკოსს", რისთვისაც მთელი 59 წუთი დასჭირდა, უპირატესობის გაფლანგვა კი ოთხ წუთში მოახერხა და საქმე ფრისკენ წაუვიდა. ბოლოს პოლ სქოულზმა იყოჩაღა, თორემ მანჩესტერელებს ჯგუფიდან გასვლისთვის მომდევნო ტურში უნდა ეზრუნათ.

„ლოკომოტივი" „სპარტაკივით" წამხდარი არ არის და „ბარსელონასაც" გაუჭირდა. ფრანკ დე ბურმა თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გამოგლიჯა რუსებს გამარჯვება.

„მილანმა" კი...

მართალი კაცი ყოფილა ფრანც ბეკენბაუერი, როცა გაიძახდა, ოტმარ ჰიცფელდის იმედის არ მჯერაო. არადა, „ბაიერნმა" რიგიანად ითამაშა, უბრალოდ, „მილანის" წამქცევი წლეულს ჯერ არ გამოჩენილა. ჩვენ კი დავძინოთ, რომ კახა კალაძის საიმედო თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა.

ლიგა „უბაიერნოდ"? მიუნხენელთა ბედი ისევ „მილანის" ხელშია — უმოტივაციოდ დარჩენილმა „დეპორტივო" უნდა დაამარცხოს. ისე, „დეპორტივო" თავად „ბაიერნმაც" უნდა დაამარცხოს, ისევე, როგორც „ლანსი", რომლის გუშინდელმა გამარჯვებამ ლაკორუნიელებზე გერმანელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი დაუტოვა.



REUTERS მილანიდან

ოთხი მატჩი — ოთხი გამარჯვება: კარლო ანჩელოტის სიამაყის უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### E ჯგუფი

**დინამო 2:0 ფეიენოორდი**

1:0 ხაცკევიჩი (16), 2:0 ბელკევიჩი (47)
დინამო: რევა, გიოანე, დმიტრულინი (საბლიჩი 75), პეევი, გავრანჩიჩი, ხაცკევიჩი, გუსინი, ბელკევიჩი, რინკონი (ნესმაჩნი 56), ელ-კადური, შაცკიხი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
ფეიენოორდი: ზუტებიერი, პაუვე, ვან ვონდერენი, ვან პაარენი (რუსია 39), ჩ. სონგი, ონო, ლოოვენსი, ვან პერსი (ლურლინგი 55), ემერტონი (ბომბარდა 62), კალუ, ბუფელი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
50 000 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:0 იუვენტუსი**

1:0 გრიფინი (62)
ნიუკასლი: ჰარპერი, ჰიუზი, ე. ობრაიენი, ბრემბლი, გრიფინი, სოლანო, ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 86), შირერი, ლუა ლუა (ამეობი 85)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, ფერარა, ბირინდელი, კამორანეზი (ძამბროტა 69), ტაკინარდი, დავიდსი (კონტე 46), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ზალაიეტა 57)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
48 370 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| ფეიენოორდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ნიუკასლი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |

### F ჯგუფი

**ლევერკუზენი 2:1 მაკაბი**

1:0 ბაბიჩი (45), 1:1 პრალია (53), 2:1 ჟუანი (67)
ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, ლუსიო, პლასენტე, სებესკენი, შნაიდერი, რამელოვი, ბაშტურქი, ბაბიჩი, ფრანკა (შიმაკი 69), ბრდარიჩი (ნოივილე 46)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
მაკაბი: აუატე, კეისი, ბენადო, ხარაზი, ზანო (სოფილია 80), ჟუტაუტასი, ბადირი, პრალია (ისრაილევიჩი 74), როსო, ზანდბერგი (კატანი 74), აიეგბენი
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 2:3 მანჩესტერი**

0:1 ბლანი (21), 0:2 ვერონი (59), 1:2 ხუტოსი (70), 2:2 ჯორჯევიჩი (74), 2:3 სქოულზი (84)
ოლიმპიაკოსი: ელევთეროპულოსი, ანატოლაკისი, პაცაცოღლუ, ვენეტიდისი, ანცასი, იანაკოპულოსი (მავროგენიდისი 88), ჯორჯევიჩი, კარამბუ, დრაჩენა, ზეტერბერგი (ოფორი-კუაიე 72), ჯოვანი (ხუტოსი 46)
მწვრთნელი: იანის კოლიასი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ოშე, სილვესტრი, ფ. ნევილი, ვერონი (რიჩარდსონი 88), ბლანი, ბექემი (ჩედვიკი 63), გიგზი (ფორჩუნი 63), სქოულზი, ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:5 | 12 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:9 | 6 |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 9:12 | 3 |

### G ჯგუფი

**მილანი 2:1 ბაიერნი**

1:0 სერჯინიო (11), 1:1 ტარნატი (23), 2:1 ინძაგი (64)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი (გატუზო 46), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, სერჯინიო (დალა ბონა 79), ინძაგი (ლაურსენი 85)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბაიერნი: კანი (ვესელსი 61), სანიოლი, რ. კოვაჩი, კუფური, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 71), იერემიესი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, პიზარო (სანტა კრუზი 73)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
85 700 მაყურებელი

**ლანსი 3:1 დეპორტივო**

0:1 მაკაი (16), 1:1 კულიბალი (60), 2:1 მორეირა (79), 3:1 ტომერი (84)
ლანსი: ვარმუზი, რ. სონგი, ბაკა, ა. კულიბალი, რულე, პ. ბ. დიოპი (კორიდონი 73), კეიტა, ტომერი (ფანი 86), სიბიერსკი (ბაკარი 73), უტაკა, მორეირა
მწვრთნელი: ჟოელ მიულერი
დეპორტივო: ხუანმი, ექტორი, სერხიო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, კაპდევილა (ლუკე 84), ვიქტორი (სკალონი 65), ფრანი, დონატო, მაკაი (ტრისტანი 70)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
38 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| ლანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბაიერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |

### H ჯგუფი

**ბარსელონა 1:0 ლოკომოტივი**

1:0 დე ბური (76)
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა (როჩემბაკი 66), ხავი, კოკუ, გაბრი, რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, ჟულიო სეზარი (ბუზნიკინი 82), ობიორა, პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: ალან შამერი (ლუქსემბურგი)
62 000 მაყურებელი

**ბრიუგე 3:1 გალათასარაი**

1:0 ს. მარტენსი (45), 1:1 პინტუ (55), 2:1 ვერპეინი (72), 3:1 შეტერნსი (90)
ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, ვან დერ ჰიდენი, კლემენტი, ვერპეინი (სმოლდერსი 90), ენგლებერტი, ს. მარტენსი, ნ. ჩეპი (შეტერნსი 64), ბ. მარტენსი, სტოიკა (მპილარი 84)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გალათასარაი: მონდრაგონი, მეჰმეთი (ფელიპე 46), ბიულენთი, ემრე აშიქი (კრისტიანი 82), არიფი (აიჰანი 54), ბალიჩი, ფ. პინტუ, ჯიჰანი, დავალა უმითი, უნსალი, ერგუნი
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
მსაჯი: ანტონიო დე სანტისი (იტალია)
22 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული. მატჩი**

ფულემი 0:1 ვესტ ჰემი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ძოვენთრი 1:1 ნორვიჩი
შეფილდ იუნაიტედი 2:1 სტოკი

### იტალია

**თასის II ეტაპი**
**საპასუხო მატჩები**

უდინეზე 1:0 ბარი
ატალანტა 1:1 სამპდორია
პარმა 2:1დ.დ. (2:0) ვიჩენცა
კომო 0:2 ტრიესტინა
პიაჩენცა 2:0 ტერნანა
ბრეშა 1:3 ანკონა

### საბერძნეთი

**თასის 1/16 ფინალი**

პაოკ 2:0 ვოლუ

### შვეიცარია

**თასის I ეტაპი**

ალტსტეტენი 0:4 ლუგანო
აარაუ (II) 1:2 გრასჰოპერი (II)

### პოლონეთი

**თასის I ეტაპი**

ვისლა 5:0 გროცლინი
პოლარი 1:0 ამიცა

### ფინეთი

**პლეი ოფი. VI ტური**

ალიანსი 1:0 ლაჰტი
ინტერი 0:2 ტამპერე
მიუპა 1:0 იარო
ჰაკა 1:1 ჰიკ

### შოტლანდია

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

სელტიკი 4:2 ინვერნესი
პარტიკი 3:0 როსი
აბერდინი — მოზერუელი გადაიდო

## კალათბურთი

# ევროლიგა
**პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. 23 ოქტომბერი**

**A ჯგუფი**

სკიპერი 82:76 აეკ

**B ჯგუფი**

ტაუ 90:85 სიენა
უნიკახა 77:78 ჟალგირისი

**C ჯგუფი**

ულკერი 65:63 ვილერბანი
ცსკა 74:67 ოლიმპიაკოსი



REUTERS ბრიუგედან

ბრიუგე — გალათასარაი. თურქთა კარის გოლებით ამოვსება სანდი მარტენსმა დაიწყო



REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — მაკაბი.
ნელო ვიენო ლიგას გაუშინაურდა



REUTERS პირეოსიდან

ოლიმპიაკოსი — მანჩესტერი.
პიერლუიჯი კოლინა: მოთელვა მსაჯსაც უნდა



REUTERS ლანსიდან

ლანსი — დეპორტივო. ვქტორი დანიელ მორეირას ფეხებში ამაოდ ჩაუვარდა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. A ჯგუფი

## არსენალი 1:2 ოსერი

ლონდონი. „ჰაიბერი". 35 206 მაყურებელი. მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

0:1 კაპო (8), 0:2 ფადიგა (28), 1:2 კანუ (53)

| | |
|---|---|
| სიმენი, ლორენი (კ. ტურე 77), სიგანი, კემპბელი, კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა (პირესი 72), ვილტორდი, კანუ, ანრი. მწვრთნელი: არსენ ვენგერი | ფაბიან კოლი, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ჟაური, ტაინიო, ფეიე, ლაშუერი, მვარუვარი, კაპო, ფადიგა. მწვრთნელი: გი რუ |

ჯარიმა: 15-22; კუთხური: 7-2; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 6-5

## დორტმუნდი 1:1 პსვ ეინდჰოვენი

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 47 000 მაყურებელი. მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

1:0 კოლერი (10), 1:1 ბრუგინკი (47)

| | |
|---|---|
| ლემანი, ევანილსონი, ვიორნსი, მადუნი, როიტერი, დედე (ფრინგსი 78), კელი, რიკენი (ამოროზო 72), როსიცკი, კოლერი, ევერტონი. მწვრთნელი: მათიას ზამერი | ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოიერი, ფაბერი, ბუმა, ჰაინცე (რობენი 46), ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი, ბრუგინკი (რამზი 80), კეჟმანი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 85). მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

ჯარიმა: 17-18; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 8-13; კარში დარტყმა: 7-7; თამაშგარე: 2-2

# ქურდის გოლი ცხონდა

## ფადიგამ სიმენიც გაძარცვა



არსენ ვენგერმა სიმწრისგან ზედიზედ მეორე მატჩში იღრიალა

უჰ, რა ბიჭია არსენა?! მდიდარს ართმევს და ღარიბს აძლევსო, სწორედ მასზეა ნათქვამი. აქამდე ბევრს სათვალავიც აერია, იმდენი დაუმარცხებელი მატჩი ჩაატარა არსენ ვენგერის გუნდმა, ახლა კი... ჯერ პრემიერლიგაში უამბიციო „ევერტონმა" იმსხვერპლა, გუშინ კი ევროპაში ახალდფეხადგმულმა „ოსერმა" გააკრა ბეჭებზე.

ფრანგები მატჩამდე იმუქრებოდნენ, „არსენალის" სახელი სულაც არ გვაშინებს და ძალიან გვინდა, „ევერტონს" გვერდით ამოვუდგეთო. ამოუდგნენ კიდეც.

სტუმრებმა „ჰაიბერიზე" შიშის ზარი მერვე წუთზე ჩამოჰკრეს. ოლივიე კაპომ ლამაზი კომბინაცია შედეგიანად დააგვირგვინა.

მერე კი „ცუდმა ბიჭმა" გამოყო ფეხი და კორეა-იაპონიის საიუველირო მალაზიების გარდა დევიდ სიმენსაც გაჰკრა კბილი. ხალილუ ფადიგამ ჟან-ალან ბუმსონგის პასი შეიშნო და ინგლისელთა მეკარეს ჭრილობაზე მარილი დააყარა — ბურთი თავზე გადაუგდო.

ბრიტანელ ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ და ბებერ სიმენს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს. „არსენალმა" მეორე ტაიმშიღა გამოიფხიზლა, მაგრამ ერთზე მეტჯერ ვერ იხეირა. ნიგერიელმა „ფარგალამ", ნვანკვო კანუმ 53-ე წუთზე ანგარიში შეამცირა...

ამგვარად, ჰოლანდიელი დენის ბერხკამპის გარეშე მოთამაშე ლონდონელებმა პირველად წააგეს წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში. არსენ ვენგერმაც მატჩამდე სწორედ ბერხკამპის არყოფნაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა... დანაკლისი ფრანგებსაც არანაკლებ სერიოზული ჰქონდათ. ახალგაზრდა მეგოლე ჯიბრილ სისე თითქოს სასტარტო შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მატჩისწინა ვარჯიშზე ტრავმა გაიმიზეზა და „ჰაიბერიზე" თამაში ველარ შეძლო.

ინგლისელთათვის კი ერთადერთი სასიხარულო ამბავი რობერ პირესის დაბრუნებაა. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ პირესი მწყობრში ჩადგა და 72-ე წუთზე ჟილბერტო სილვას ნაცვლად შევიდა მოედანზე, რასაც ტრიბუნების მხურვალე ოვაცია მოჰყვა.

„ცხადია, გაწბილებული ვარ, მაგრამ განგაშის ატეხვას სულაც არ ვაპირებ — განაცხადა არსენ ვენგერმა, რომელსაც გუშინ 53 წელი შეუსრულდა — ბიჭებმა იბრძოლეს, მაგრამ გასამარჯვებლად ეს საკმარისი არ გამოდგა. თუმც ასეთი პერიოდი ყოველ სეზონში გვაქვს. იმედია, ამ ჩავარდნას მალე დავძლევთ. თანაც „ოსერმაც" ძალიან კარგად ითამაშა. მათ იოლად აუღეს ალღო ჩვენს მოკლე პასებს და დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს. ვფიქრობ, ჩემი გუნდი ფსიქოლოგიურად მაინც კარგადაა მომზადებული და ამას მომავალ მატჩებში დავამტკიცებთ".

„ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო ჩემთვის. მასპინძლებმა საკუთარი ფეხბურთი ვერ ითამაშეს. უფრო სწორად, ამის საშუალება არ მივეცით. ცხადია, ცოტა გაგვიმართლა კიდეც. სწრაფმა გოლმა ფრთები შეგვასხა" — ასეთია გი რუს აზრი, რომელიც უკვე 41 წელია, „ოსერში" მუშაობს.

ამ მარცხით „არსენალმა" ჯგუფიდან გასვლის ვადაზე ადრე გაფორმება ვერ შეძლო, „ოსერმა" კი, ალბათ, თავადაც არ იცის, რა უნდა. ფეხბურთელები გაიძახიან, მომდევნო ეტაპზე უნდა გავიდეთო, ხოლო მწვრთნელი უფრო თავშეკავებული ჩანს — კარგი იქნება, თუკი „ეინდჰოვენს" ჩამოვიტოვებთ და უეფას თასზე ვითამაშებთო.



ხალილუ ფადიგამ დევიდ სიმენის სუსტი ადგილი გაიხსენა



REUTERS

ეინდჰოვენელებს ფრემ ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსი დაუტოვა

# ზამერმა ჰიდინკს მალარიჩი უკისრა

**ნამეტანი** სტუმართმოყვარე მასპინძელი გამოდგა დორტმუნდის „ბორუსია", სტუმრად „პსვ ეინდჰოვენს" 3:1 სძლია, შინ კი მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა.

არადა, აყლაყუდა ჩეხმა იან კოლერმა უკვე მეათე წუთზე დააწინაურა გერმანელები და ბევრმა მათიას ზამერის გუნდს იოლი გამარჯვებაც უწინასწარმეტყველა, თუმც ტკივილგამაყუჩებლით მოთამაშე არნოლდ ბრუგინკმა მათ პროგნოზს ჩაილურის წყალი დაალევინა.

„პირველ ტაიმში ტაქტიკურად გამართულად ვითამაშეთ და მეტოქეს ბევრი თავსატეხიც გავუჩინეთ. მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე გაშვებულმა გოლმა კი რიტმიდან ამოგვაგდო" — თქვა ნამატჩევს მათიას ზამერმა.

ბრუგინკმა 47-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. ჰოლანდიელებს ამის შემდეგაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ იუგოსლაველ თავდამსხმელ მატეა კეჟმანს იენს ლემანმა არ დაანება. მერე ისევ იან კოლერი იყო ახლოს მიზანთან, თუმც უშედეგოდ. კასპერ ბოგელუნდის დარტყმულს კი ბუნდესნაკრების მცველმა სებასტიან კელმა არ გადააკვეთინა კარის ხაზი.

პირველ ნახევარში მეტოქემ აშკარად გვაჯობა. ჩვენ ერთადერთი შანსი გვქონდა და ისიც ვერ გამოვიყენეთ — განაცხადა პსვ-ს თავკაცმა გუს ჰიდინკმა — შესაძლოა, ისე მომხდარიყო, „დორტმუნდს" ორი ან მეტი გოლიც გაეტანა ჩვენთვის, თუმც გადავრჩით. მერე კი ჩვენც ავთამაშდით და მეორე ტაიმში ინიციატივა არ დაგვითმია".

ამ მატჩში ჰოლანდიელთა შემადგენლობაში კვლავ არ გამოჩენილა ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე. არადა, პსვ-ს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენებურს გუს ჰიდინკის გუნდში ჯერაც დასამკვიდრებელი აქვს ადგილი.

თავად კლუბს სალიგო ოთხ მატჩში მხოლოდ ორი ქულა აქვს და უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება, ჯგუფიდან გასვლა კი მათთვის უკვე აუხდენელი ოცნებაა.

**ძაბა ზალამბერიძე**



REUTERS

იან კოლერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. B ჯგუფი



მაიკლ ოუენმა მაქსიმ ლევიცკი ბურთის კარიდან გამოსატანად არ შეაწუხა

## სპარტაკი 1:3 ლივერპული

მოსკოვი. „დინამო". 10 000 მაყურებელი. მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

1:0 დანიშევსკი (23), 1:1, 1:2, 1:3 ოუენი (29, 70, 90)

| | |
|---|---|
| ლევიცკი, კოვტუნი (კებე 36), მიტრესკი (კუდრიაშოვი 82), აბრამიძე, ხლესტოვი, პავლენკო, კალინიჩენკო, ბეზროდნი, სონინი (ტორბინსკი 60), ბესჩასტნიხი, დანიშევსკი<br>მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი | დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, მერფი, ჰამანი, დიაო, რიისე, ბაროში (დიუფი 71), ოუენი, ჰესკი (ვინიალი 56; ბისკანი 76)<br>მწვრთნელი: ჟერარ ულიე |

ჯარიმა: 19-8; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 3-5; თამაშგარე: 2-0

# გოლბიჭა

## ჰერი, ბიჭო, ჰერიო!

**მოსკოვში,** „დინამოს" სტადიონზე, „სპარტაკმა" აქამდე შეუძლებელი შეძლო — პირველი ლიგური გოლი გაიტანა. ამ გოლით გამოწვეული სიხარული ექვსიოდ წუთში მაიკლ ოუენმა გაანელა, როცა ზუსტი თავური ჰკრა მაქსიმ ლევიცკის კარში.

მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ვალერი აბრამიძემ და რუსთაგან საკმაოდ მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. მეორე ტაიმის დასაწყისში მან ოუენს ლევიცკისთან პირისპირ შეხვედრაშიც შეუშალა ხელი, თუმც ინგლისელი გოლბიჭა ის ჩიტი არაა, სპარტაკისეული კარსაცავის მახეში ღრიჭო ვერ ნახოს.

შუბლზე სათვალეწამოცმულმა რომანცევმა ღრმა ნაფაზი დაარტყა, როცა პავლენკომ, მერე კი დანიშევსკიმ დუდეკი დაცხრილეს. პოლონელმა მეკარემ განსაკუთრებით დანიშევსკის დარტყმაზე ივაჟკაცა.

„სპარტაკი" თავისი შესაძლებლობის ზღვარზე თამაშობდა, „ლივერპულმა" კი კლასის ხარჯზე ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოსაგები მაინც მოიგო.

რუსთა გუნდი მოიქანცა და შეხვედრის ბოლო ოც წუთში ორი გოლიც გაუშვა.

ჯერ მერფის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებულს მოჰყვა არეულობა და ბურთმა პატრონს მიაგნო — კარის ხაზთან მას ოუენი ელოდა. სანამ დანარჩენები ძიძგილაობდნენ, ოუენმა ბურთს ჭვინტი წაჰკრა და მეორე მიითვალა.

გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლებმა პირველი სალიგო ქულის გამოგლეჯა მოიწადინეს, მაგრამ არ ეღირსათ, პირიქით, ბოლო წუთზე დიუფი-დაფი-ოუენის კომბინაციამ მოსკოველთა იმედები დაასამარა.

მერე ტრიბუნიდან გალაღებული, თავზე ქუდჩამოფხატული ალბათ, ინგლისელი ფანი მინდორზე გადაბრძანდა. მისი გაყვანა თვით „დინამოს" სტადიონის დირექტორმა, ოლეგ ტოჩელოვიჩმა ითავა.

ჟერარ ულიე: „სპარტაკმა" კარგად დაიწყო და დანიშევსკის გოლიც ლოგიკური იყო. ბიჭებმა მოახერხეს მობილიზება, ოუენის პირველი გოლის შემდეგ კი საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არ შემპარვია. საერთოდ, ვერიდები ხოლმე გუნდიდან ვინმეს გამორჩევას, მაგრამ ოუენი ამჯერად ნამდვილად ქების ღირსია.

ვიქტორ სამოხინი, „სპარტაკის" მწვრთნელი: „სამივე გოლი ჩვენ თვითონ გავიტანეთ საკუთარ კარში. პირველი კოვტუნის ბრალი იყო, მეორე ხლესტოვის შეცდომისა, მესამე კი მთლიანად დაცვისა".

## ბაზელი 2:2 ვალენსია

ბაზელი. „სენტ იაკობი". 29 503 მაყურებელი. მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)

1:0 ერგიჩი (32), 1:1 ბარახა (36), 1:2 კურო ტორესი (72), 2:2 ერგიჩი (90)

გაძევება: აიალა (88)

| | |
|---|---|
| ცუბერბიულერი, ცვისიგი, ჰაასი, მ. იაკინი, დურუზი, კ. ვარელა (როსი 65), ესპოზიტო (კუმანტარაკისი 85), კანტალუპი, ერგიჩი, ჰ. იაკინი, ხიმენესი (ტუმი 60)<br>მწვრთნელი: კრისტიან გროსი | კანისარესი, პელეგრინო, აურელიო, აიალა, კურო ტორესი, ბარახა (მარჩენა 75), რუფეტე (ანგულო 71), დე ლოს სანტოსი, კილი გონსალესი, ხუან სანჩესი (კარეუ 80), მისტა<br>მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი |

ჯარიმა: 22-28; კუთხური: 7-6; კარისკენ დარტყმა: 5-4; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 8-5

# წმინდა იაკობი — ივანეს სავანე

**„ვალენსიამ"** შავი სამკლავურებით ითამაშა. ფეხბურთელებმა პატივი მიაგეს ყოფილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, ბერნანდო პერესს, რომელიც 77 წლისა გარდაიცვალა.

პერესი კლუბში 17 წლისა მივიდა და „ვალენსიას" ლეგენდად იქცა. ფეხბურთელობის შემდეგ გუნდის მწვრთნელადაც მუშაობდა, მერე კი აღმასრულებელ დირექტორად.

რაფაელ ბენიტესს და მის შეგირდებს შეეძლოთ, ბერნანდო პერესის ხსოვნისთვის გამარჯვება მიეძღვნათ, მაგრამ ბაზელელმა ერგიჩმა ბოლო წუთზე არ დაანება.

ჩვენთვის ავადსახსენებელ „სენტ იაკობზე" მასპინძლებმა ძალიან აგრესიულად დაიწყეს. დაახლოებით 10-15 წუთი მთლიანად მათი იყო, თუმცა რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. „ბაზელმა" ისე მოინდომა, თითქოს ამ მატჩში წყდებოდა მთელი შვეიცარიის ბედი. ცხადია, გულში ხინჯად ჰქონდათ მესტალიური მოგონებები და ექვსი გაშვებული გოლი. მოკლედ, აილესეს კბილები, თუმცა სტუმართა დაცვის გაფხრეწას ნახევარი საათი მოანდომეს.

„ვალენსია" ბურთის მოხელთებისთანავე უსწრაფესად გადადიოდა მეტოქის სანახებში. დამხვდური მცველები, სანამ ჯანზე იყვნენ, ფეხებში ეჩხირებოდნენ შემტევებს. როცა მოიქანცნენ, რამდენიმე გოლისმომასწავებელი შეტევა გაეპარათ, მაგრამ პირველად ბურთი მაინც კანისარესის „ბოსტანში" შევარდა.

ეს მარტივ კომბინაციას მოჰყვა, რომელსაც ალბათ, შვეიცარიის ყველა საფეხბურთო სკოლაში ასწავლიან. თვალწინ ამეტუზა „ბანკირთა" მიერ საქართველოს ნაკრების კარში გატანილი ორი გოლი. ჰაკან იაკინი კარისკენ ზურგით იდგა, ივან ერგიჩმა გაუთამაშა და გულმოსულმა დაჰკრა. კანისარესმა „მოინიშნა", რომ ეს 32-ე წუთზე მოხდა.

გოლით გალაღებულებმა მეტი მოინდომეს, რამაც მათი დაცვა და განსაკუთრებით პასკალ ცუბერბიულერი მოადუნა. მიძინებულთა გამოღვიძება რუბენ ბარახამ იკისრა. ისეთი დაარტყა, რომ მეკარე ვერ შესწვდა და მაინც წაეპოტინა. ბურთი ცუბერბიულერის ხელთათმანებს გაეგლასუნა და კარში შებანცალდა.

გოლთგაცვლამ მეტოქენი დაამშვიდა. პირველი ტაიმი სასტვენამდე მიათრიეს. შესვენების შემდეგ მასპინძლებს დაღლა მალევე დაეტყოთ, „ვალენსიამ" კი მოუმატა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტი წუთი იყო გასული, როცა ფეხბურთელებმა მინდორზე ყირაობა დაიწყეს. უხეშობა კინაღამ თავპირის ლეწვით დამთავრდა. „ნადირობის" სეზონი რუბენ ბარახამ გახსნა. ფეხთამტვრევაში მას შვეიცარიელი ჰაასიც არ ჩამორჩა. ეს ამბები ერთ წუთიან მონაკვეთში მოხდა. გერმანელმა მსაჯმა ჰელმუტ ფლეიშერმაც ორივე ყვითელი ბარათით შეამკო. ტალღა უკვე აგორებული იყო. რობერტო აილამაც იუხეშა და ფლეიშერს მისთვისაც არ დანანებია გაფრთხილება. მეომარნი ცოტა მიწყნარდნენ. მალე „ბაზელის" კარში მეორე გოლიც გავიდა. კურო ტორესი კარგად შეერწყა თანაგუნდელთა შეტევას და თავისები დააწინაურა.

მატჩის მიწურულს ჰაასს ყვითელ ბარათში ჰაკან იაკინი ჩაუზიარდა, ხოლო წუთის შემდეგ აილამ მეორე გაფრთხილება გამოსთხოვა მსაჯს. მასპინძლები არგენტინელს მისცვივდნენ, ზედმეტი მოგივიდაო, ის კი მოედნიდან გასვლას სულაც არ ჩქარობდა. შეპასუხებით გული რომ იჯერა, მერეღა წავიდა ფურთხებით.

შეხვედრის ბოლო წუთი იდგა, სტუმართა კარისკენ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ჩაწოდებულზე ყველას ისევ ერგიჩმა დაასწრო და გაბღენძილი ფეხით გაათანაბრა. მოკლედ, ალბათ ფრედ უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდეც, თუმცა ერთი წუთიც რომ გაეძლო, „ვალენსია" ამ სეზონის პირველი გუნდი იქნებოდა, რომელიც ასპროცენტიანი შედეგით დაიკავებდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |



სანამ მურატ იაკინი დააფარებდა, ხავიერ კურო ტორესმა მოასწრო და გაიტანა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. C ჯგუფი



რონალდო „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში დააბრუნა

## რეალი 2:2 აეკ

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". 65 000 მაყურებელი. მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

1:0, 2:0 მაკმანამანი (24, 43), 2:1 კაცურიანისი (74), 2:2 სენტენო (86)

კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი (ბრავო 75), მაკმანამანი (მინამბრესი 83), კამბიასო, სელადესი, ზიდანი (სოლარი 62), რონალდო, გუტი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ხიოტისი, კოსტენოღლუ, რაიტი, კაპსისი, გეორგატოსი (სენტენო 70), ლაკისი, კაცურიანისი, ზაგორაკისი, კასაპისი, ცარტასი (მალადენისი 54), ნიკოლაიდისი (ივიჩი 54)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

ჯარიმა: 11-14; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 8-8; თამაშგარე: 4-4

## ბაევიჩის ბაიათები

**მეორე ტაიმში** ათენელებმა მოხერხებულად ისარგებლეს მადრიდელთა ულიმღამო განწყობით და ორგოლიანი ჩამორჩენა გააბათილეს. არადა, „რეალი" სტივ მაკმანამანის გოლების შემდეგ ამ შეხვედრითვე ალებდა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კარს და თითქოს რაღა უნდა დადგომოდა წინ შეჯიბრების ცხრაგზის გამარჯვებულს, მაგრამ გავიდნენ გუნდები მოედანზე შესვენების შემდეგ და გაირკვა, რომ მასპინძლებს თამაშის ხალისი წახდენიათ.

მეორე ტაიმში ბერძნებმა გაცილებით უკეთესი მომენტები შექმნეს, რაც 44-ე წუთზე კოსტას კაცურიანისის გოლით გაგრძელდა — ივან ელგერამ და ფერნანდო იერომ ათენელი ფეხბურთელი უყურადღებოდ დატოვეს — ხოლო შემდეგ ანგარიში სულაც გათანაბრდა.

ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ „რეალში" ხმაურითა და სკანდალით გადასულმა რონალდომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ახალი გუნდის მაისურა პირველად მოირგო, მართალია ვერ გაიტანა, სამაგიეროდ ბრწყინვალე საგოლე პასი მიითვალა. საპირისპირო კართან შედეგიანი გამოდგა ვალტერ სენტენოს მეცადინეობა. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთი რჩებოდა, როდესაც ილია ივიჩმა მარცხენა ფრთაზე იეროს აჯობა, ხოლო შეტევა სენტეროს გოლით დაგვირგვინდა.

„მეორე ტაიმში ძალიან უკან დავიხიეთ, რამაც ბერძნებს უპირატესობა მიანიჭა. ამას ზედ ჩვენი უპასუხისმგებლობაც დაემატა — განაცხადა მატჩის შემდეგ მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ — სამწუხაროა, რადგან გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის საგზურს გვაძლევდა. ახლა, შემდეგ ეტაპზე გასვლა გართულდება. მართალია, მდგომარეობას მაინც ვფლობთ, მაგრამ სანამ ყველაფერს ოფიციალურად არ მოვაგვარებთ, დამშვიდების უფლება არ გვაქვს".

ალსანიშნავია, რომ დელ ბოსკემ შესვენებისას თავადაც აბუჩად აიგდო მოწინააღმდეგე აბა, რით შეიძლება აიხსნას რობერტო კარლოსის, ზინედინ ზიდანისა და სტივ მაკმანამანის ერთობლივი შეცვლა?

„ცვლილებებს თავისი მიზანი ჰქონდა — იმართლა თავი მადრიდელთა თავკაცმა — ზიდანს, მაგალითად, მცირე ტრავმა აწუხებდა, რობერტო კარლოსი ერთ-ერთ მეტოქესთან კამათობდა და მოედანს გავარიდე, ხოლო მაკმანამანის გაყვანამ მარჯვენა ფრთაზე ახალი ძალის გამოყენების საშუალება მოგვცა".

რაც შეეხება აეკის თავკაცს, დუშან ბაევიჩს, იგი, ცხადია, შედეგით ძალიან კმაყოფილი გახლდათ:

„დიდებული მეორე ტაიმი გვქონდა. აგებდე 0:2-ს და გაათანაბრო, სასიხარულოა, რისთვისაც ჩემს ფეხბურთელებს დიდ მადლობას ვუძღვნი. ძალიან რთული შეხვედრა კი გახლდათ. პირველ ნახევარში ჩვენი თავდამსხმელები იზოლირებულნი იყვნენ, ხოლო გუნდს საგოლე მომენტების შესაქმნელად სიმკვირცხლე აკლდა. კიდევ კარგი, შესვენებისას ცვლილებები განვახორციელე და ამან გაამართლა. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ შესვენების შემდეგ გაცილებით სწრაფად ავთამაშდით. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, ისტორიულ შედეგს მივაღწიეთ. მართალია, არ მოგვიგია, მაგრამ ორგოლიანი ჩამორჩენის გამოსწორება, თან „ბერნაბეუზე", ძალიან დიდ საქმედ მიმაჩნია".

ახლა კი მომენტები გავიხსენოთ: დავიწყოთ იმით, რომ რობერტო კარლოსმა მეტოქეს კინაღამ პირველსავე წუთზე გაატანინა — ბურთი საკუთარ საჯარიმოსკენ უხეიროდ დააგორა. შემდეგ, რონალდომ გუტის ჩააწოდა, მაგრამ მან დამიზნება ვერ მოახერხა. ამას მოჰყვა იმავე რობერტო კარლოსის დარტყმა, რომელიც აეკის გოლკიპერმა, დიონისის ხიოტისმა მოიგერია, თუმცა, შემდეგ, მაკმანამანმა ესტებან კამბიასოს პასს დაუხვედრა ფეხი და ანგარიში გახსნა.

პირველი ტაიმის მიწურულს, უფრო სწორად მის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, მაკმანამანმა რონალდოს პასით მეორე გოლიც გაიტანა.

ალსანიშნავია, რომ „რეალს" აკლდა რაული, ფიგუ და მაკელელე.

**ბაჩუნა ძიძია**

## რომა 0:0 გენკი

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". 25 592 მაყურებელი. მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)

ანტონიოლი, კაფუ (ბომბარდინი 83), ძებინა, სამუელი, პანუჩი, კანდელა, ლიმა, ტომაზი (გიგუ 59), ემერსონი, ბატისტუტა, კასანო (მონტელა 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

შოლენი, ტომაშიჩი, ზოკორა, ვამფორი, ბესლია, რუმანი, დაერდენი (სუზუკი 76), ტიისი, სკოკო, სონკი, დაგანო
მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი

ჯარიმა: 15-24; კუთხური: 7-6; კარისკენ დარტყმა: 13-5; კარში დარტყმა: 6-4; თამაშგარე: 3-3

## ფაბიო კაპელოს რომანტიზმი

**სამი კვირის წინ**, როდესაც „გენკმა" და „რომამ" ბელგიაში ითამაშეს, უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა, საბოლოოდ კი იტალიელებმა გაიმარჯვეს, 1:0. ამჯერად თამაშის ბოლოს გოლი აღარ გასულა და შესაბამისად, ტაბლოზე აქეთ-იქით ნულები დაიწერა. ამ შედეგით „რომა" ჯგუფში მეორე ადგილზე დარჩა. „რეალის" წყალობით ჩამორჩენა კვლავ სამქულიანი აქვს და მეორე ეტაპზე გასვლას იმედოვნებს.

მატჩი ერთობ ულიმღამო გახლდათ, ხოლო მომენტები, როგორც აქეთ, ასევე იქით კართან, უფრო ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი, ვიდრე გუნდური მოქმედებებისა. მეექვსე წუთზე დამიანო ტომაზიმ ბელგიელთა დაცვას აჯობა და გოლის გატანის შესაძლებლობა ანტონიო კასანოს მიართვა, მაგრამ „რომას" თავდამსხმელმა მიზანს ააცილა.

გამოხდა ორი წუთი და კაფუმ დრიბლინგით შეაღწია მოწინააღმდეგის საჯარიმოში, საიდანაც დასამატებლად დააგორა ბურთი, თუმცა მასპინძელთაგან დამმატებელი არავინ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ პერიოდულად იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბელგიელები გოლის „მოპარვასა" და თამაშის თავიანთ სასარგებლოდ გარდაქმნას შეძლებდნენ. ამის მიზეზი შეტევით გართული რომაელების უყურადღებობა გახლდათ, რის გამოც „გენკი" სახიფათო კონტრშეტევებს აწყობდა.

მაგალითად, მე-10 წუთზე სტუმართა თავდამსხმელმა, მუმუნი დაგანომ ისე დაარტყა, რომ „რომას" მეკარეს, ფრანჩესკო ანტონიოლის ბურთის თითის წვერებით მოგერიება მოუხდა, რასაც კიდევ უფრო სახიფათო მომენტი მოჰყვა: სწრაფმა ნახევარმცველმა კოენ დაერდენმა მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და დასცხო, მაგრამ მასპინძელთა ბედად ანტონიოლიმ ბურთს კვლავ გაჰკრა ხელი და ისიც ბადეში შევარდნის ნაცვლად ძელს მოხვდა.

სხვათა შორის, ამ თამაშის წინ „რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო ბევრს საუბრობდა თავისი ბიჭების მოწადინებაზე — იტალიის პირველობის წინა ტურში მათ „ემპოლის" აჯობეს 3:1, ხოლო შემდეგ ტურში დიდი დერბი აქვთ „ლაციოსთან" — მაგრამ ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, მთელმა პირველმა ტაიმმა უზუსტო პასების გადაწოდებაში გაიარა.

შესვენებისას კაპელომ კასანო ვინჩენცო მონტელათი შეცვალა და გუნდმაც თითქოს უფრო ენერგიულად დაიწყო მეორე ტაიმი — თხუთმეტი წუთის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები ადრე თუ გვიან თავისას გაიტანდნენ. კერძოდ, ბატისტუტამ „გენკის" მეკარეს, შოლენს 63-ე წუთზე ახლოდან დარტყმული ბურთის მოგერიება აიძულა, ხოლო ამ ამბიდან ხეირიანად ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მონტელამ ოდნავ ააცილა.



მუმუნი დაგანომ [illegible] მომენტი გააფუჭა, თავად გაფუჭდა

და მაინც, მასპინძლებს კონტრშეტევები ეპარებოდათ — დაგანომ მატჩის საუკეთესო მომენტი გაუშვა ხელიდან, როდესაც დაუცველ კარში ვერ დაუმიზნა.

მატჩის შემდეგ ფაბიო კაპელომ განაცხადა: „შედეგი სამართლიანი იყო. პირველივე წუთიდან კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ მოგვიანებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ვერაფერი მოვახერხეთ, ენთუზიაზმი გაგვიქრა და ემოციურმა გადაღლამ იჩინა თავი. ორმა ფრემ შემდეგ ეტაპზე გასვლის საქმე გაგვირთულა. მართალი გითხრათ, ამ შედეგებს არ ველოდი, მაგრამ გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს".

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:5 | 8 |
| რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |



ფაბიო კაპელოს ღრიალმა „რომას" ვერ არგო

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. D ჯგუფში

## ლიონი 3:3 ინტერი

ლიონი. „სტად ჟერლანი". 42 000 მაყურებელი. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

1:0 ანდერსონი (21), 1:1 კასაპა (31ს.კ.), 2:1 კარიერი (44), 2:2, 2:3 კრესპო (56, 66), 3:3 ანდერსონი (75)

| ლიონი | ინტერი |
|---|---|
| კუპე, ედმილსონი, ბრეშე, მიულერი, კასაპა, ვიოლო (ვერელი 69), დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო (ლავილი 56), კარიერი, დორასო, ს. ანდერსონი | ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო, ს. კონსეისაუ (ადანი 73), დი ბიაჯო (ალმეიდა 24), ემრე ბელოზოღლუ, მორფეო, ვიერი, კრესპო (რეკობა 78) |
| მწვრთნელი: პოლ ლე გუენი | მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი |

ჯარიმა: 15-19; კუთხური: 4-5; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 13-8; თამაშგარე: 9-2

# ლიონელი სონიორი



REUTERS

დომენიკო მორფეომ ფილიპ ვიოლოს სახეზე ბურთი და ფეხი ააფარა

„ლიონი" ფრეზე გაუყარა „ინტერს" და ჯგუფის მეორე მატჩის შედეგის გათვალისწინებით, ორქულიანი უპირატესობაც შეინარჩუნა, მაგრამ თავად გაყრა მშვიდობიანი სულაც არ ყოფილა — ლიონის „სტად დე ჟერლანდზე" ნამდვილი ომი იყო.

ერნან კრესპომ და სონი ანდერსონმა ორ-ორი გოლი მიითვალეს უხვგოლიან მატჩში, რომელშიც მასპინძლები ორჯერ იყვნენ წინ, ერთხელაც კი მდევრად აღმოჩნდნენ.

ფრანგებმა მოპოვებული უპირატესობა რომ ვერ გამოიყენეს, მათივე მცველთა მოდუნების ბრალია. საერთოდ კი, ამ გუნდების სამი კვირის წინანდელი თამაში თუ არ დაგვიწყებიათ, „სან სიროზე" „ლიონმა" დაცვაში კარგად შეკრული ზღუდე აგო, რომელშიც, მშობლიურ სარბიელზე ნაპრალები გამოჩნდა. დაცვა კი, მოგეხსენებათ, ნახევარდაცვით იწყება, ხოლო ამ რგოლში ლიონელები ბლომად არაზუსტ და უმიზნო პასს აკეთებდნენ.

„ლიონის" თავდასხმა კი ჩვეულად მარჯვედ ირჯებოდა. თამაშის დაწყებიდან ოთხიოდ წუთში სონი ანდერსონს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ ფრანჩესკო ტოლდომ გატანა არ დაანება — დაბალ ბურთს გადაელობა.

ამ ადრეულმა ეპიზოდმა საპირისპირო შედეგი მოიტანა, ანუ „ინტერი" დაბნევის მაგიერ უფრო გააბრაზა და ექტორ კუპერის ჩანაფიქრის ასრულებას — მოედნის ცენტრის დაპყრობას — მეტი მონდომებით შეუდგა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მილანელებმა ბევრიც ვერაფერი დააკლეს ერიკ კარიერსა და ჟუნინიო პერნამბუკანოს.

სონი ანდერსონის მცდელობის მერე, მე-18 წუთზე ჟუნინიოს ჰქონდა გატანის შანსი. თუ გახსოვთ, მატჩის ანონსში ვწერდით ბრაზილიელის მზაკვრულ საჯარიმო დარტყმებზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ტოლდოსაც გაგებული ჰქონდა ეს ამბავი, მოემზადა და 30 მეტრიდან გასროლილის მოგერიება შეძლო. მოგერიებული ბურთი კი კარიერს მიუვიდა, ოღონდ მარჯვედ ვერ ამოსცხო, ახლო მანძილიდან ააცილა.

სამიოდ წუთში „ლიონმა" მაინც მიაღწია მიზანს. კაპიტანმა სონი ანდერსონმა კარიერის პასით იხეირა.

ექტორ კუპერმა, ვისაც საჩემპიონლიგო იმედები წყალში ეყრებოდა, უმალ რაღაცეების შეცვლა მოიწადინა და ყველაზე სუსტ ფეხბურთელსაც მიაგნო — ლუიჯი დი ბიაჯო თამაშის წამხდენად მიიჩნია და მათიას ალმეიდათი შეცვალა. ამ ცვლილებით ჭაღარა არგენტინელმა უკვე მერამდენედ გამოავლინა გამჭრიახობა, რაკი მოედნის ცენტრში ალმეიდასთან შეწყვილებულმა ემრე ბელოზოღლუმ და მეფლანგეებმა სერჟიუ კონსეისაომ და დომენიკო მორფეომ მეტი ეფექტურობით მოახერხეს ნახევარდაცვის ხაზის კონტროლი.

ანდერსონის გოლიდან ათ წუთში სტუმართა გახარების ჯერიც დადგა. „ინტერი" დიდი ძალით გადავიდა შეტევაზე, ფრანგთა საჯარიმოში ჩასულმა განაპირა მცველმა ხავიერ ძანეტიმ მარცხენა ფლანგიდან განივი გადაცემა გააკეთა, მაგრამ ბურთს მეორე ინტერელამდე მისვლა არ დასცალდა — კლაუდიო კასაპამ საკუთარ კარში ჩაჭრა.

„სან სიროზე" გამარჯვებით და ანდერსონის საშინაო გოლით რწმენაგამტკიცებული ლიონელები ვითარების ამგვარ შებრუნებას არ ელოდნენ და ცოტათი დაიბნენ. მაგრამ იტალიელებმა მეტოქის დაბნეულობით სარგებელი ვერ ნახეს, არადა, შეეძლოთ — ემრეს საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა.

მასპინძლებს ხასიათი ისევ ზემოთ ნაქებმა ჟუნინიომ და კარიერმა გამოუკეთეს, როცა პირველი ტაიმის მიწურულს ჟუნინიომ მარჯვენა ფლანგი გაჭრა, კარიერმა კი საგოლედ დააქუხა.

ცხადი იყო, რომ შესვენებისას კუპერი ფეხბურთელებს რაღაც ჭკვიანურს ეტყოდა და თამაშის გასაგრძელებლად მიბრუნებულმა „ინტერმა" ძალუმ შეუტია. ლამის მაშინვე გაუმართლათ, კრისტიან ვიერიმ 47-ე წუთზე ხარიხას გაარტყა, მაგრამ „ლამის" ხომ არ ითვლება.

ხოლო ის, რაც ითვლება, ერნან კრესპომ გააკეთა. მარკო მატერაციმ უგრძესი, 40-მეტრიანი პასი გაუჭრა ვიერის, ვინაც ერთი შეხებით კი დაიმორჩილა ბურთი, მაგრამ დარტყმა კი წაუხდა — გრეგორი კუპეს ვერ ააცილა, სამაგიეროდ, საჯარიმოშივე გაჩენილმა კრესპომ დამატებაზე ზუსტად დაარტყა. კრესპომვე გაიტანა „ინტერის" მესამე გოლი, რაც თავად მისთვის ამ სეზონში მეხუთე სალიგო იყო.

ტრილერი ამით არ დასრულებულა. „ინტერის" წინ გაჭრას დიდი დრო არ ეწერა, უფრო ზუსტად კი ოდენ ცხრა წუთი გაძლო. დორასომ მეტოქის საჯარიმოში ჯარიმა ჩაჰკიდა, შორეულ ძელთან ბურთი ედმილსონმა მოიხელთა, ანდერსონს დაუგორა და კაპიტანმაც ტოლდოს კარის ბადე ამ მატჩში უკანასკნელად, ააფართხალა. ბოლოსკენ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა დომენიკ მორფეოს, მაგრამ ამ თამაშში მოგება არც ერთ გუნდს არ ეწერა.

ჯგუფს კვლავაც ვლიდერობთ და ეს უკვე კარგიაო, თქვა ნამატჩევს სონი ანდერსონმა.

**ირაკლი ნინიძე**

# ვან დამმა ნორვეგიელებს ხელი შეაშველა



REUTERS

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა სტუმართა კაპიტან ერიკ ჰოფლანდს თავში წაუთაქა

## აიაქსი 1:1 რუსენბორგი

ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა". 42 000 მაყურებელი. მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

1:0 იბრაჰიმოვიჩი (41), 1:1 ენერლი (85პ)

გაძევება: ვან დამი (84)

| აიაქსი | რუსენბორგი |
|---|---|
| ტიმერი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კივუ, ვან დამი, გალაშეკი, ვიჩგე (ნ. დე იონგი 83), ვან დერ მეიდე, ლიტმანენი, იბრაჰიმოვიჩი (მიდო 71), ბუხარი | არასონი, საარინენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ენერლი, სკამელსრუდი (ოლსენი 39), ბერგი, კარადასი, იონსენი, ბრატბაკი (ლუდვიგსენი 74) |
| მწვრთნელი: რონალდ კუმანი | მწვრთნელი: ნილს-არნე ეგენი |

ჯარიმა: 14-17; კუთხური: 9-3; კარისკენ დარტყმა: 9-7; კარში დარტყმა: 4-4; თამაშგარე: 8-1

**ამსტერდამში** ტრონდჰეიმული ანგარიში განმეორდა. „აიაქსმა" ჩვეულად, ხალისით დაიწყო და „რუსენბორგიც" დაშინებული ჩანდა. სტუმრებს თავისი წილი მოედნიდან დაახლოებით თხუთმეტი წუთი ცხვირი არ გაუყვიათ. მასპინძლები მთელი ამალით ებდღვნენ მეტოქეს, ბურთს გამალებით დააგელვებდნენ.

სანამ ნორვეგიულთა კარსაცავი დაღაგდებოდა, არასონის კარს ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და ბუხარმა რამდენჯერმე შეუბღვირეს სახიფათო დარტყმებით. „აიაქსის" ცდა, სწრაფი გოლი გაეტანათ, ამაო გამოდგა. „რუსენბორგმა" პირველ ქარიშხალს გაუძლო, მერე კი თვითონაც დააჭაშნიკა დამხვდურთა დაცვის სიძლიერე. იონსენმა ტიმერის კარისკენ ბურთს გზა გაუკვალა, მაგრამ მეკარეს თავი არ შეუწუხებია, რადგან ფორვარდმა გვარიანად ააცილა.

„აიაქსმა" ხელახლა დაიწყო მეტოქის ჯებირების რღვევა და ისევ უშედეგოდ. ამასობაში ბრატბაკმა გამოყო თავი. მისი ორი სავური მასპინძლებს მხოლოდ დაემუქრა.

ნახევარი საათი იყო გასული, როცა „რუსენბორგის" საჯარიმოში, აიაქსელთა აზრით, მცველებმა ფეხს ხელები წაახმარეს, თანაც ორჯერ. ჰოლანდიელთა პროტესტის მიუხედავად, ესპანელ მსაჯ არტურო იბანიესს ყური არ მოუცდენია. თამაშის გაგრძელება ბრძანა.

პირველი ტაიმის ბოლოს თითქოს მეტოქენი მინელდნენ და დასასვენებლად მოემზადნენ, მაგრამ ტრაბელსი თავის ფლანგზე არ ისვენებდა. მისი „ჩაფლანგებული" საჯარიმოში ჩაწოდებით და ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლით დასრულდა.

ანტრაქტის შემდეგ „რუსენბორგი" გამხნევდა. ნორვეგიელებმა „აიაქსის" ნახევარდაცვან მარწუხები მოუჭირეს, განავარდების საშუალება ალარ აძლევდნენ მასპინძლებს და მწყობრადაც შეუტიეს.

მალე ენერლეს მიეცა საგოლე შანსი, თუმც რუმინელმა კივუმ არ დაანება. ბრატბაკს და ბასმასაც შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ვერ დაუმიზნეს. მერე კარადასის მზაკვრული თავდარტყმული ტიმერმა გამოაძრო.

ამსტერდამელებმა მეტოქის ძალა იგემეს და მეორე გოლის გასატანად სათანადოდ ველარ მოიცალეს. სტუმრებმა იყნოსეს, რომ „აიაქსის" კარი გოლს ითხოვდა. მატჩის მიწურულს „რუსენბორგი" ვიკინგურად მიაწვა და იმდენი შეძლო, რომ საპენალტე ნიშნულიდან დარტყმის უფლება მოიპოვა. ერთ-ერთი შეტევისას ვან დამმა ხელით მოსინჯა ბურთი, არტურო იბანიესმა კი საჯარიმოში თეთრი წერტილისკენ მიუთითა. მერე ვან დამს უხმო და ილეთი დაუწუნა, მცველის გარჯა წითელი ბარათით შეაფასა.

ენერლის ისლა დარჩენოდა, „ამსტერდამ არენა" დაეღონებინა, რაც კარგად გამოუვიდა. მისმა დარტყმულმა „რუსენბორგს" ქულა მოუტანა.

ნამატჩევს რონალდ კუმანი წუხდა, მეორე ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით და ძვირადაც დაგვიჯდაო.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |

# ბობიჩი მიდის ფეხბურთიდან არა, ნაკრებში

**ბოლო დროს** საგოლე მადას არ უჩივის გერმანული ფეხბურთის ძველი ვარსკვლავი ფრედი ბობიჩი. ყველას რომ ეგონა, დღე დღეზე ბუცებს ლურსმანზე დაკიდებსო, 30 წლის ბობიჩმა ბუნდესნაკრების მწვრთნელის, რუდი ფიოლერის ყურადღება მიიპყრო.

„ჰანოვერის" თავდამსხმელი ბოლო ხუთ მატჩში ექვსი გოლით ბუნდესლიგის მეგოლეთა მარაქაში გაერია, ამასთან, მან ბოლო ტურში, „ვერდერთან" თითქმის წაგებული მატჩის გადარჩენაში (4:4) ლომის წილი დაიდო — ბოლო ცხრა წუთში დუბლი მიითვალა.

აი, რას ამბობს რუდი ფიოლერი ბობიჩზე: „ფრედის ჰანოვერში შევხვდი და ვუთხარი, თუ კვლავაც ასე გააგრძელებ გოლების გატანას, აუცილებლად მოგიწვევ ნაკრებში-მეთქი."

ბობიჩს ეროვნულ გუნდში 1998 წლის მერე აღარ უთამაშია, სულ კი 19 სანაკრებო კეპი აქვს და ორი გოლი გაუტანია.

ბობიჩის გარდა ფიოლერი ნაკრებში სამი ახალი ფეხბურთელის — კევინ კურანის („შტუტგარტი"), ბენიამინ ლაუტის („მიუნხენი") და ჯერმენ ჯონსის („აინტრახტი") მიწვევას აპირებს. გერმანიის ნაკრებს 5 ნოემბერს ამხანაგური მატჩი ელის გელზენკირხენის „აუფშალკეზე" ჰოლანდიელებთან. სწორედ ტიტების ქვეყნის ნაკრებთან აპირებს პერ რუდი ახალწვეულების გამოცდას.

**ზურაბ რუხაძე**



ფრედი ბობიჩი

# ლურჯი სამოსის ბავშვი

## უეინ რუნის კონტრაქტი უჯანჯლდება

**ინგლისის** ახალი სენსაცია, 16 წლის ევერტონელი უეინ რუნი, რომელმაც „არსენალს" დამაშამათებელი გოლი გაუტანა გასულ შაბათს, ჯერჯერობით არ აწერს ხელს თავის პირველ პროფესიულ კონტრაქტს.

„საქმე ისაა, რომ უეინმა აგენტი შეიცვალა და ახალ აგენტებს ორ-სამთვიანი მუშაობა მოუწევთ საქმეებში გასარკვევად — თქვა „ევერტონის" თავკაცმა ბილ კენრაიტმა — არ მგონია, ხელმოწერა დეკემბრამდე შედგეს, თუმცა უეინი რამდენიმე თვეა იცნობს ჩვენს პირობებს და თანახმაცაა. გადაბირების არ გვეშინია. ის სულით ხორცამდე ლურჯი სამოსის კაცია. აქ ყოფნა და თამაში უნდა."

„ევერტონის" მენეჯერ დევიდ მოიესს უთქვამს, თუ რუნის გაყიდით, გადავდგებიო.

„ჩვენ თანხებს მოვიძიებთ. ფეხბურთელთა ხშირი გაყიდვის ძველებური პოლიტიკა აღარ გაგრძელდება" — აცხადებს კენრაიტი.

რუნი ბავშვობიდან „ევერტონის" ფანი, კლუბის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი ბიჭია, რომელიც შარშან ყმაწვილებში თამაშობდა, წელს კი უკვე დაამყარა ერთი საკლუბო რეკორდი. „ევერტონის" ისტორიაში ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოდგა მეტოქის კარში გოლი რომ გაუტანია. ეს მოხდა 2 ოქტომბერს ლიგის თასის მატჩში მესამედივიზიონური „რექსემის" წინააღმდეგ, რომელიც „ევერტონმა" 3:0 მოიგო.

**ირაკლი ბაზღაძე**



უეინ რუნი ნელ-ნელა ზევით მიბობღავს

# უეფამ ხუთშაბათი გააუქმა

**როგორც იცით,** მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგა ახალი, უფრო გამარტივებული ფორმატით ჩატარდება. უეფას თასის ახალ პროექტზე კი ჯერ ბუშაობენ.

ამასთან დაკავშირებით, უეფას გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის თქმით, ჩემპიონთა ლიგის მატჩების შემცირება უეფას საშუალებას მისცემს, თავისი სახელობის თასის მატჩები ხუთშაბათიდან ოთხშაბათს გადმოიტანონ. „ჩვენ ჩემპიონთა ლიგის რეფორმირება მოვახდინეთ, 2003-04 წლების სეზონიდან ერთი ჯგუფური ეტაპი გაიმართება, შესაბამისად, ოთხშაბათი თავისუფლდება და უეფას თასის მატჩებიც ამ დღეს გადმოიწევს" — განაცხადა აიგნერმა.

ამგვარი ცვლილება უეფას თასზე მოთამაშე გუნდებს შინაურ პირველობაზე შაბათ-კვირის მატჩებისთვის უკეთ მომზადების საშუალებას მისცემს.

# მექსიკას ჩემპიონი არ ასცდა

## ამბობდნენ სკოლარის, გულისხმობდნენ ლავოლპეს



რიკარდო ლავოლპემ ხელი მექსიკელებს გაიშვირა

**მექსიკის ნაკრების** მწვრთნელი არგენტინელი რიკარდო ლავოლპე გახდა. როგორც იცით, მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-სთან მარცხის შემდეგ გათავისუფლებული ხავიერ აგირეს შემცვლელად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კანდიდატებს ეძებდა და მოლაპარაკება ჰქონდა ისეთ განთქმულ სპეციალისტებთან, კარლოს ბიანკი და ლუიშ ფელიპე სკოლარი რომ არიან. თუმც ბოლოს ფედერაციის პრეზიდენტმა ალბერტო დე ლა ტორემ მათ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რიკარდო ლავოლპე ამჯობინა, რომელიც მაშინ არგენტინის ნაკრების სათადარიგო მეკარე იყო.

# რივერს ღობე უშველიდა?!

## ბანფილდთან რა იყო, ბოკასთან რა იქნება

**„ბანფილდი"** უნდა დავივიწყოთ, მორჩა და გათავდა" — ასეთი ლოზუნგით გამოვიდა „რივერ პლეიტის" მწვრთნელი მანუელ პელეგრინი გუნდის სამარცხვინო მარცხის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურში „რივერი" 66-ე წუთისთვის 0:5 აგებდა, როდესაც მოედნის გარშემო აღმართული დამცავი ღობე მისმა გაგიჟებულმა ფანებმა გადაანგრიეს და მოედანზე შეცვენას შეეცადნენ.

შემდეგ ყველაფერი არგენტინის ჩემპიონატისთვის ჩვეულად წარიმართა. პოლიცია, ცრემლსადენი გაზი, ცემა-ტყეპა. ორი დაშავებული ფანი საავადმყოფოში წაიყვანეს, რამდენიმე — პოლიციაში. ფედერაციამ 0:5 მატჩის საბოლოო ანგარიშად გამოაცხადა.

„ჩვენ ის მატჩი არანორმალურად ჩავატარეთ, ამიტომაც წავაგეთ. ეს სამარცხვინო ფურცელია ჩვენი კლუბის დიად ისტორიაში" — განაცხადა პელეგრინიმ.

ხუთიოდე თვეა, რაც პელეგრინი „რივერის" სათავეშია და მისი გადაყენების თაობაზე პრესაში გამუდმებით ლაპარაკობენ. ადვილი მისახვედრია, რომ ეს სამარცხვინო წაგება პელეგრინის რეპუტაციას კიდევ უფრო შელახავდა.

თავად მწვრთნელი თავისი სახელის აღსადგენად „ბოკა ხუნიორსთან" საკვირაო მატჩს ელის. „ჩვენ ჩემპიონობისთვის კვლავ ვიბრძვით და „ბოკასთან" გამარჯვება უაღრესად გვჭირდება. მერწმუნეთ, კვირას სულ სხვა გუნდს იხილავთ" — იმედიანადაა პელეგრინი. დღესდღეობით მისი გუნდი მეორე ადგილზეა და 3 ქულით უსწრებს „ბოკა ხუნიორსს", ხოლო პირველადგილოსან „ინდეპენდიენტეს" ხუთი ქულით ჩამორჩება. ასე რომ, „ბოკასთან" დუელი პელეგრინისა და მისი გუნდისთვის საბედისწეროც შეიძლება გამოდგეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ხომ სულ 6 ტურია დარჩენილი.

რაც შეეხება 0:5-ზე ჩაშლილ მატჩს, „რივერ პლეიტს" ხულიგანი ფანების გამო ჯიბეზე ხელის გაკვრაც მოუწევს. ამის გარდა, დისკვალიფიკაცია ელის კლუბის ვეტერან მეკარე დავიდ კომიცონსაც. 40 წლის კომიცო მსაჯს წაკამათებია.

**სერგი ძორიძე**



მანუელ პელეგრინის შავი დღეები უდგას

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**ვიტესი 0:2 როდა**

0:1 ვ. სონკო (43), 0:2 სერტი (62პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:10 | 22 |
| პსვ | 8 | 6 | 2 | 0 | 20:3 | 20 |
| როდა | 9 | 4 | 4 | 1 | 17:12 | 16 |
| ტილბურგი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:7 | 15 |
| ფეიენოორდი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:11 | 14 |
| ბრედა | 8 | 3 | 5 | 0 | 14:7 | 14 |
| ნაიმეგენი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 14 |
| ვალვაიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:17 | 13 |
| ვიტესი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:10 | 11 |
| ექსელსიორი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:14 | 11 |
| უტრეხტი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ალკმაარი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:21 | 10 |
| როზენდალი | 8 | 2 | 2 | 4 | 13:16 | 8 |
| ზვოლე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:15 | 8 |
| ტვენტე | 8 | 1 | 3 | 4 | 9:17 | 6 |
| ჰერენვენი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:17 | 3 |
| გრააფსხაპი | 8 | 1 | 0 | 7 | 6:20 | 3 |
| გრონინგენი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:19 | 1 |

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**იფსვიჩი 2:2 ბარნსლი**

1:0 მაკგრილი (2), 1:1 გნოური (6), 2:1 ამბროზი (16), 2:2 პაპადოპულოსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 13 | 10 | 2 | 1 | 29:11 | 32 |
| ნორვიჩი | 13 | 8 | 4 | 1 | 24:8 | 28 |
| ლესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 19:11 | 27 |
| ნოტინგემი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:13 | 24 |
| შეფილდი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:16 | 24 |
| უოტფორდი | 14 | 7 | 3 | 4 | 20:21 | 24 |
| ქოვენთრი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:16 | 22 |
| ბარნსლი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:20 | 22 |
| როტერჰემი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:18 | 20 |
| რედინგი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:13 | 20 |
| ჯილინგემი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:19 | 19 |
| დერბი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:17 | 18 |
| ვულვზი | 12 | 5 | 2 | 5 | 23:16 | 17 |
| იფსვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:17 | 16 |
| ბრედფორდი | 14 | 3 | 7 | 4 | 14:19 | 16 |
| უოლსოლი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:23 | 15 |
| კრ. პალასი | 13 | 2 | 8 | 3 | 17:17 | 14 |
| პრესტონი | 13 | 2 | 8 | 3 | 18:21 | 14 |
| სტოკი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | 14 |
| მილუოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:25 | 13 |
| უენსდი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:20 | 12 |
| უიმბლდონი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:21 | 12 |
| გრიმსბი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:23 | 9 |
| ბრაიტონი | 13 | 1 | 1 | 11 | 11:25 | 4 |

## შვედეთი

### XXIV ტური

**მალმიო 0:0 ელფსბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 24 | 14 | 4 | 6 | 47:32 | 46 |
| მალმიო | 24 | 13 | 4 | 7 | 47:31 | 43 |
| იორგრიტე | 24 | 11 | 8 | 5 | 46:35 | 41 |
| აიკ | 24 | 9 | 9 | 6 | 34:32 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:37 | 36 |
| სუნდსვალი | 24 | 8 | 8 | 8 | 27:32 | 32 |
| ელფსბორგი | 24 | 8 | 7 | 9 | 25:29 | 31 |
| იორებრო | 24 | 8 | 7 | 9 | 27:35 | 31 |
| ლანდსკრონა | 24 | 8 | 6 | 10 | 39:35 | 30 |
| ჰალმსტადი | 24 | 6 | 12 | 6 | 29:28 | 30 |
| ჰამარბი | 24 | 7 | 8 | 9 | 40:39 | 29 |
| ნორჩიოპინგი | 24 | 6 | 7 | 11 | 34:37 | 25 |
| გიოტებორგი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:37 | 25 |
| კალმარი | 24 | 5 | 6 | 13 | 18:35 | 21 |

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან,
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია


☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2



ანზორ მამალაძე

# დებულება იდოს

## დისციპლინარებმა მამალაძეს გარანტია მოსთხოვეს, მერანს თამაში



რევაზ ნაჭყებია

*„გუნდი, რომელიც არასაპატიო მიზეზით გააცდენს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს, ჩაეთვლება წაგება 0:3 (მოწინააღმდეგეს მოგება 3:0) და მოიხსნება გათამაშებიდან, ხოლო ფეხბურთელებს უფლება ეძლევათ, თამაში გააგრძელონ ნებისმიერ სხვა გუნდში. შესაბამისი კონტრაქტი უქმდება, ხოლო ამ გუნდის ფეხბურთელებს უფლება მიეცემათ ჩემპიონატის მსვლელობაშივე გადავიდნენ სხვა გუნდებში" – სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ხმამაღლა წაიკითხეს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტის პირველი პარაგრაფის მეოთხე მუხლი. მერე დისციპლინარებმა ერთმანეთს გადახედეს, სხდომაზე მოპატიჟებულ „მერანის" პრეზიდენტ-მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც თვალი შეავლეს და საგანგებოდ ბოლოსთვის მოტოვებული საკითხის ხანგრძლივი განხილვაც დაიწყო*

2002 წლის მარტიდან მოყოლებული, ავჭალური კლუბი ოფიციალური სპონსორის გარეშე აგრძელებს წვალებას. აწ უკვე ყოფილი დამფინანსებლები, კლუბის აქციების 75 პროცენტს რომ ფლობენ, ოფიციალურ დოკუმენტაციას ჯერაც ვერ შელევიან. რუს ბიზნესმენებს, ვალერი ჟილენკოვს და იური სევასტიანოვს „მერანისთვის" ფული არ დაუხარჯავთო, რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება. მათი სახსრებით გათავისუფლდა აკაკი დევაძე ებრაელებისგან, მიხეილ ფოცხვერიაც გვარიანი თანხა დაუჯდათ და 1984 წელს დაბადებული ქართველი ჭაბუკებისგან შეკოწიწებული „გოლეადორიც" ზღაპრულ პირობებში ვარჯიშობდა ორი წლიწადის მანძილზე.

რუსების იდეას, „მერანის" რამდენიმე იმედის მომცემი მოთამაშე, დევაძე, ფოცხვერია და „გოლეადორის" ნიჭიერი ბიჭები სოლიდურ ფულად გაეყიდათ და დანახარჯიც უმოკლეს ვადაში ამოეკოთ, ასრულება არ ეწერა. ჟილენკოვისა და სევასტიანოვის ნდობით აღჭურვილმა პირებმა, რომელთაც „მერანის" ხელმძღვანელობა თბილისში იკისრეს, კლუბის ბუღალტერიას თავი ვერ გაართვეს. ჰოდა, დარჩა ავჭალელთა გუნდი უფულოდ. სადღეისოდ რუსებს „მერანის" მწვრთნელ-ფეხბურთელების 110 ათასი ლარი მართებთ, მაგრამ ყველა მათგანმა კარგად იცის, რომ ჟილენკოვი და სევასტიანოვი თეთრის გამომგზავნები არ არიან.

